

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ევროსტილი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში	4
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	10
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი	10
რისკის მართვა	18
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები	21
სასამართლო დავები	21
მმართველობითი ანგარიში	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ევროსტილი“-ს დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ევროსტილი“-ს თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული კონსოლიდირებული სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლების აზრად აღწერილი შენიშვნების გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სხვა ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისათვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჯგუფის აუდიტორებად დავინიშნეთ 2021 წლის 29 მარტს, ამგვარად ჩვენ არ დავსწრებივართ სასაქონლო-მატერიალური მარაგების ფიზიკურ ინვენტარიზაციას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ჩვენ ვერ შევძელით 2020 წლის 31 დეკემბერს ჯგუფის ფლობილი მარაგების არსებობის დადასტურება სხვა ალტერნატიული პროცედურებით. ვინაიდან მარაგების ნაშთი ფინანსური მდგომარეობის და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშში ვერ დასტურდება, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა სრული შემოსავლების ანგარიშში ასახული წლების მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ჩვენ ავირჩიეთ და შევასრულეთ პროცედურები საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ბანკის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 20120 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულვებელყოფას

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავეგემოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

2 აგვისტო, 2021

თბილისი, საქართველო

- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოეთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.


მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

2 აგვისტო, 2021

თბილისი, საქართველო



შპს ევროსტილი
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	4,177,212	7,132,725
არამატერიალური აქტივები		-	3,632
საინვესტიციო ქონება	4	6,853,174	16,186,011
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,030,386	23,322,368
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	10,585,440	14,832,352
წინასწარ გადახდილი გადასახადები		193,861	21
გადახდილი ავანსები	6	1,056,519	4,326,348
სხვა მოკლევადიანი აქტივები		129,784	1,653
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	7	8,435,914	5,122,779
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	8	8,265,182	1,848,585
სულ მიმდინარე აქტივები		28,666,700	26,131,739
სულ აქტივები		39,697,086	49,454,107
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,160,115	1,442,251
გაუნაწილებელი მოგება		7,107,116	20,999,004
ძირ. საშუალების გადაფასების რეზერვი		-	3,381,455
სულ მფლობელის კაპიტალი		8,267,231	25,822,710
არამაკონტროლებელი წილი		366,361	332,028
სულ საკუთარი კაპიტალი		8,633,592	26,154,738
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	6,225,957	4,240,019
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6,225,957	4,240,019
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	13,320,918	3,025,991
მიღებული ავანსები	10	1,027,366	2,066,247
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		5,262	-
მოკლევადიანი სესხები	9	9,750,180	11,140,440
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	9	732,459	2,705,607
საგადასახადო ვალდებულებები		1,352	94,674
გადასახდელი პროცენტები		-	26,391
სულ მიმდინარე ვალდებულებები		24,837,537	19,059,349
სულ ვალდებულებები		31,063,494	23,299,368
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		39,697,086	49,454,107

დირექტორი

2 აგვისტო, 2021
თბილისი, საქართველო

ბუღალტერი

2 აგვისტო, 2021
თბილისი, საქართველო

შპს ევროსტილი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	მენიშვნა	31.12.2019	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	4,177,212	7,132,725
არამატერიალური აქტივები		-	3,632
საინვესტიციო ქონება	4	6,853,174	16,186,011
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,030,386	23,322,368
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	10,585,440	14,832,352
წინასწარ გადახდილი გადასახადები		193,861	21
გადახდილი ავანსები	6	1,056,519	4,326,348
სხვა მოკლევადიანი აქტივები		129,784	1,653
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	7	8,435,914	5,122,779
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	8	8,265,182	1,848,585
სულ მიმდინარე აქტივები		28,666,700	26,131,739
სულ აქტივები		39,697,086	49,454,107
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,160,115	1,442,251
გაუნაწილებელი მოგება		7,107,116	20,999,004
ძირ. საშუალების გადაფასების რეზერვი		-	3,381,455
სულ მფლობელის კაპიტალი		8,267,231	25,822,710
არამაკონტროლებელი წილი		366,361	332,028
სულ საკუთარი კაპიტალი		8,633,592	26,154,738
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	6,225,957	4,240,019
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6,225,957	4,240,019
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	13,320,918	3,025,991
მიღებული ავანსები	10	1,027,366	2,066,247
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		5,262	-
მოკლევადიანი სესხები	9	9,750,180	11,140,440
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	9	732,459	2,705,607
საგადასახადო ვალდებულებები		1,352	94,674
გადასახდელი პროცენტები		-	26,391
სულ მიმდინარე ვალდებულებები		24,837,537	19,059,349
სულ ვალდებულებები		31,063,494	23,299,368
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		39,697,086	49,454,107

დირექტორი

2 აგვისტო, 2021

თბილისი, საქართველო

ბუღალტერი

2 აგვისტო, 2021

თბილისი, საქართველო

შპს ევროსტილი
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	მენიშვნა	31.12.2019	31.12.2020
შემოსავალი ძირითადი საქმიანობებიდან	11	88,927,775	106,927,767
სხვა საოპერაციო შემოსავლები	11	245,813	804,263
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(81,496,744)	(94,603,007)
მთლიანი მოგება		7,676,844	13,129,023
ხელფასის ხარჯი		(1,009,539)	(1,061,263)
ცვეთა და ამორტიზაცია		(134,178)	(159,710)
ადმინისტრაციული ხარჯები	13	(1,013,091)	(1,465,888)
შემოსავალი საინვესტიციო ქონების აფასებიდან		-	8,683,270
საოპერაციო მოგება		5,520,036	19,125,433
ფინანსური შემოსავლები		14,570	543
ფინანსური დანახარჯები		(1,384,714)	(1,439,796)
წმინდა მოგება/ზარალი საკუროსო სხვაობიდან და გადაფასებიდან		(961,372)	(3,832,145)
წილის გაყიდვით მიღებული შემოსავალი		50,883	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(37,750)	(45,721)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		232,721	62,241
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		(2,085,662)	(5,254,878)
მოგება დაბეგვრამდე		3,434,374	13,870,554
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		3,434,374	13,870,554
ძირითადი საშუალების აფასება		-	3,381,455
სრული შემოსავალი		3,434,374	17,252,009
განეკუთვნება მფლობელს		3,440,642	13,891,888
არამაკონტროლებელი წილი		(6,268)	(21,334)

დირექტორი

2 აგვისტო, 2021
თბილისი, საქართველო

ბუღალტერი

2 აგვისტო, 2021
თბილისი, საქართველო

შპს ევროსტილი
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2020
შემოსავალი ძირითადი საქმიანობებიდან	11	88,927,775	106,927,767
სხვა საოპერაციო შემოსავლები	11	245,813	804,263
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(81,496,744)	(94,603,007)
მთლიანი მოგება		7,676,844	13,129,023
ხელფასის ხარჯი		(1,009,539)	(1,061,263)
ცვეთა და ამორტიზაცია		(134,178)	(159,710)
ადმინისტრაციული ხარჯები	13	(1,013,091)	(1,465,888)
შემოსავალი საინვესტიციო ქონების აფასებიდან		-	8,683,270
საოპერაციო მოგება		5,520,036	19,125,433
ფინანსური შემოსავლები		14,570	543
ფინანსური დანახარჯები		(1,384,714)	(1,439,796)
წმინდა მოგება/ზარალი საკუროსო სხვაობიდან და გადაფასებიდან		(961,372)	(3,832,145)
წილის გაყიდვით მიღებული შემოსავალი		50,883	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(37,750)	(45,721)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		232,721	62,241
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		(2,085,662)	(5,254,878)
მოგება დაბეგვრამდე		3,434,374	13,870,554
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		3,434,374	13,870,554
ძირითადი საშუალების აფასება		-	3,381,455
სრული შემოსავალი		3,434,374	17,252,009
განეკუთვნება მფლობელს		3,440,642	13,891,888
არამაკონტროლებელი წილი		(6,268)	(21,334)

დირექტორი

2 აგვისტო, 2021
თბილისი, საქართველო

ბუღალტერი

2 აგვისტო, 2021
თბილისი, საქართველო

შპს ევროსტილი

კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	არა მაკონტროლებელი წილი	სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	1,074,796	3,666,474	-	865,519	5,606,789
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	85,319	-	-	(492,890)	(407,571)
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	3,440,642	-	(6,268)	3,434,374
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	1,160,115	7,107,116	-	366,361	8,633,592
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	282,136	-	-		282,136
ქონების გადაფასება	-	-	3,381,455		3,381,455
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	13,891,888	-	(21,334)	13,870,554
არამაკონტროლებელი წილის კორექტირება	-	-	-	(12,999)	(12,999)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	1,442,251	20,999,004	3,381,455	332,028	26,154,738

დირექტორი

2 აგვისტო, 2021

თბილისი, საქართველო

ბუღალტერი

2 აგვისტო, 2021

თბილისი, საქართველო

შპს ევროსტილი

კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	არა მაკონტროლებელი წილი	სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	1,074,796	3,666,474	-	865,519	5,606,789
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	85,319	-	-	(492,890)	(407,571)
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	3,440,642	-	(6,268)	3,434,374
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	1,160,115	7,107,116	-	366,361	8,633,592
საწესდები კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	282,136	-	-	-	282,136
ქონების გადაფასება	-	-	3,381,455	-	3,381,455
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	-	13,891,888	-	(21,334)	13,870,554
არამაკონტროლებელი წილის კორექტირება	-	-	-	(12,999)	(12,999)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	1,442,251	20,999,004	3,381,455	332,028	26,154,738

დირექტორი

2 აგვისტო, 2021

თბილისი, საქართველო

ბუღალტერი

2 აგვისტო, 2021

თბილისი, საქართველო

შპს ევროსტილი
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2019	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ	3,440,642	13,891,888
კორექტირებები:	-	-
საინვესტიციო ქონების აფასება	-	(8,683,270)
ცვეთის ხარჯი	134,178	159,710
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	961,372	3,832,145
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	4,536,192	9,200,473
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	(6,575,410)	3,291,252
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(1,179,993)	(4,246,912)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	(475,127)	(3,269,829)
ცვლილებები სხვა მოკლევადიან აქტივებში	11,855	128,131
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	10,667,480	(11,274,645)
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	875,587	1,038,881
ცვლილებები გადასახადებში	(78,803)	286,982
ცვლილებები გადასახდელ პროცენტებში	-	26,391
ცვლილებები მიღებულ მოკლევადიან სესხებში	4,742,168	-
ცვლილებები სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში	5,262	(5,263)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	12,529,212	(4,824,541)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების მიღება	(139,465)	(640,320)
ძირითადი საშუალების გასვლა		253,353
ცვლილებები საწესდებო კაპიტალში	85,319	282,136
ცვლილებები არამაკონტროლებელ წილში	(499,158)	(34,333)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(553,304)	(139,163)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის დაფარვა		(4,780,259)
მიღებული სესხები	(3,664,759)	3,363,409
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(3,664,759)	(1,416,850)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(156,890)	(36,042)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	8,154,258	(6,416,596)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	110,924	8,265,182
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	8,265,182	1,848,586

დირექტორი

2 აგვისტო, 2021
თბილისი, საქართველო

ბუღალტერი

2 აგვისტო, 2021
თბილისი, საქართველო

შპს ევროსტილი
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2019	2020
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადის შემდეგ	3,440,642	13,891,888
კორექტირებები:	-	-
საინვესტიციო ქონების აფასება	-	(8,683,270)
ცვეთის ხარჯი	134,178	159,710
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	961,372	3,832,145
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	4,536,192	9,200,473
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	(6,575,410)	3,291,252
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(1,179,993)	(4,246,912)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	(475,127)	(3,269,829)
ცვლილებები სხვა მოკლევადიან აქტივებში	11,855	128,131
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	10,667,480	(11,274,645)
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	875,587	1,038,881
ცვლილებები გადასახადებში	(78,803)	286,982
ცვლილებები გადასახდელ პროცენტებში	-	26,391
ცვლილებები მიღებულ მოკლევადიან სესხებში	4,742,168	-
ცვლილებები სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში	5,262	(5,263)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	12,529,212	(4,824,541)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების მიღება	(139,465)	(640,320)
ძირითადი საშუალების გასვლა		253,353
ცვლილებები საწესდებო კაპიტალში	85,319	282,136
ცვლილებები არამაკონტროლებელ წილში	(499,158)	(34,333)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(553,304)	(139,163)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის დაფარვა		(4,780,259)
მიღებული სესხები	(3,664,759)	3,363,409
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(3,664,759)	(1,416,850)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(156,890)	(36,042)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	8,154,258	(6,416,596)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	110,924	8,265,182
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	8,265,182	1,848,586

დირექტორი

2 აგვისტო, 2021

თბილისი, საქართველო

ბუღალტერი

2 აგვისტო, 2021

თბილისი, საქართველო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საქმიანობა

შპს „ევროსტილი“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაფუძნდა 2016 წლის 16 ნოემბერს, მარეგისტრირებული ორგანო არის თბილისის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ილო მოსეშვილის ქ N 14-16 ბ. კომპანიის დამფუძნებელია ორი ფიზიკური პირი ნინო აფციაური 50% წილით და თამარა ქომეთიანი 50% წილით.

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო მასალების საბითუმო და საცალო ვაჭრობა. ასევე ორგანიზაცია ფლობს საინვესტიციო ქონებას და მისგან მიღებულ საიჯარო შემოსავლებს.

ორგანიზაცია ფლობს წილებს შემდეგ კომპანიებში:

დასახელება	რეგისტრაციის ქვეყანა	კომპანიის ფლობილი წილი		საქმიანობა
		31 დეკემბერი 2020	1 იანვარი 2020	
შპს ევრომეტი	საქართველო	67%	67%	იჯარა
შპს ასე სტილი	საქართველო	100%	100%	არ ფუნქციონირებს

მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ჯგუფის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს („ბასს“) მიერ დამტკიცებული „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს)“ შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტი გაითვალისწინებს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობას, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგების, ოპერაციების მომგებიანობას და ფინანსურ რესურსებზე წვდომას, და ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენის ანალიზს ჯგუფის ოპერაციებზე. როგორც ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაშია განხილული ხელმძღვანელობამ მიმოიხილა კორონა ვირუსის - COVID 19 -ის გავლენა კომპანიის ფუნქციონირებაზე და შეიმუშავა სამოქმედო გეგმა. ამ გეგმაზე დაყრდნობით, ჩვენ მოვლით გარკვეული სახის უარყოფით გავლენას საკუთარ საქმიანობაზე, მაგრამ ეს არ შეუქმნის რისკს კომპანიის ფუნქციონირებას. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება საფუძვლიანია.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ცალკეული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში. აღნიშნული პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. იმისთვის რომ კომპანიამ შეინარჩუნოს ლიკვიდურობა, მენეჯმენტი მიმართავს სხვადასხვა ალტერნატივებს და არ მოელის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპებთან მნიშვნელოვან შეუსაბამობებს მომდევნო საანგარიშო პერიოდების განმავლობაში.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2020
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8677	3.2766
ლარი/1 ევრო	3.2095	4.0233

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

შვილობილი კომპანია არის პირი რომელზეც კომპანიას გააჩნია კონტროლი. კონტროლი მიიღწევა, როდესაც ინვესტორი მონაწილეობს ან აქვს უფლებები ინვესტირების ობიექტში ჩართულობიდან მისაღებ უკუგებაზე და უნარი. გამოიყენოს ინვესტირების ობიექტზე ფლობილი ძალაუფლება უკუგებაზე ზემოქმედების მიზნით.

წინამდებარე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები შვილობილ საწარმოში აღრიცხულია თვითღირებულებით, იმ შენატანით რაც განხორციელებულია შვილობილი საწარმოს კაპიტალში.

შვილობილი საწარმოდან მიღებული დივიდენდები მოგებაში ან ზარალში აღირიცხება, როდესაც დივიდენდის მიღების უფლება დადგენილია.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს ორგანიზაცია არ ფლობს უიმედო მოთხოვნებს, რადგან დანერგილი სააღრიცხვო პოლიტიკა უზრუნველყოფს დებიტორის ვადიანობის ანალიზს და ყველა წარმოქმნილი მოთხოვნაზე შესაბამისი კომპენსაციის მიღებას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით. კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების არსებითი ნაწილი წარმოადგენს სწრაფად ბრუნვად მარაგებს, მაგრამ ასევე იდენტიფიცირებულია არა ბრუნვადი სასაქონლო-მატერიალური მარაგები, რომელიც არ არის კორექტირებული ფინანსურ ანგარიშგებაში მაგრამ მათი ჯამური ღირებულება არ აღემატება მარაგების საერთო ღირებულების ერთ პროცენტს,

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. ასევე საქონლის ან მომსახურების გაწევის სანაცვლოდ წინასწარ მიღებული საკომპენსაციო თანხის დროს, როდესაც თანხის მიღება და საქონლის მიწოდება არ ხორციელდება ერთი და იმავე საანგარიშო თვეში და მიღებული თანხა საანგარიშო თვის ბოლოს კლასიფიცირდება როგორც მიღებული ავანსი. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. დაბეგრულ ავანსებზე გადახდილი დღგ-ს გადასახადის გაქვითვა ხდება ავანსის სახით მიღებული თანხის შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიწოდების დროს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნებაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული უძრავი და მოძრავი ქონება მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. ბალანსზე რიცხვული მიწა აღრიცხულია შეფასების მეთოდით. მიწის რეალური საბაზრო ღირებულება შეფასებულია დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, რომელიც ფლობს შესაბამის აღიარებულ პროფესიულ კვალიფიკაციას.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებულ ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. საკუთრებაში არსებულ ქონებაზე განსაზღვრულია სალიკვიდაციო ღირებულებები, რომელიც გამოთვლილია მათი შესყიდვის თარიღში არსებული ღირებულების 5 პროცენტით. მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება ნარჩენი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, რომლებსაც გააჩნიათ საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

- შენობა-ნაგებობები - 10 წელი
- მანქანა დანადგარები - 3-7 წელი
- ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი - 3-7 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები, რომელსაც ორგანიზაცია ფლობს საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გასაზრდელად ან ორივე ერთად და არ არის დაკავებული მის მიერ.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით და შემდგომ ხდება მისი შეფასება რეალური საბაზრო ღირებულებით, რათა ანგარიშგების ბოლო თარიღისათვის ასახავდეს რეალურ საბაზრო პირობებს.

ორგანიზაციის საინვესტიციო ქონების რეალური საბაზრო ღირებულება დადგენილია დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ, რომელიც ფლობს შესაბამის პროფესიულ კვალიფიკაციას.

საიჯარო შემოსავლები ანგარიშგებაში ასახულია სხვა საოპერაციო შემოსავლებად, ხოლო საინვესტიციო ქონების შეფასებით მიღებული შედეგები წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარდგენილია დამოუკიდებლად.

თუ საინვესტიციო ქონებას დაიკავეს მფლობელი, მისი რეკლასიფიცირება ხდება ძირითად საშუალებად, ხოლო ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება რე კლასიფიცირების თარიღში მისი ღირებულების შესაბამისად.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოუქვითავია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

სესხები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. სასესხო ვალდებულებები მოიცავს ორგანიზაციის სახელზე არსებულ საკრედიტო ხაზებს, რომლის ათვისებასაც ხორციელდება საჭიროების შესაბამისად. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ. ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობის და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე. პერიოდის წმინდა შემოსავალი აღიარებულია პერიოდის შემოსავალი შემცირებული თვითღირებულების დანახარჯებით და ფასდათმობით.

ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები. ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

შპს ევროსტილი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 3 - ძირითადი საშუალებები

	შენიშვნები	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	მიწა	ჯამი
საწყისი ღირებულება						
ბალანსი 31/12/2018	1,499,585	199,812	159,883	43,297	2,263,540	4,166,117
დანამატები	366,522	410,117	326,426	21,818	349,147	1,474,030
აფასება	-	-	-	-	-	-
საინვესტიციო ქონებიდან რეკლასიფიცირება	-	-	-	-	-	-
აქტივის ჩამოწერა	(400,908)	(307,398)	(28,432)	(15,171)	(652,632)	(1,404,541)
ცვეთა პერიოდისთვის	(96,651)	-	(26,451)	(10,855)	-	(133,957)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	68,535	-	3,332	3,696	-	75,563
ბალანსი 31/12/2019	1,437,083	302,531	434,758	42,785	1,960,055	4,177,212
დანამატები	436,382	-	191,133	12,805	-	640,320
აფასება	-	-	-	-	3,381,455	3,381,455
საინვესტიციო ქონებიდან რეკლასიფიცირება	(1,674,068)	-	-	-	1,024,502	(649,566)
აქტივის ჩამოწერა	-	(255,431)	(1,994)	-	-	(257,425)
ცვეთა პერიოდისთვის	(95,979)	-	(53,072)	(10,478)	-	(159,529)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	253	-	-	253
ბალანსი 31/12/2020	103,418	47,100	571,083	45,112	6,366,011	7,132,722
ბალანსი 31/12/2019	1,437,083	302,531	434,761	42,785	1,960,055	4,177,215
ბალანსი 31/12/2020	103,418	47,100	571,083	45,112	6,366,011	7,132,722

შენიშვნა 4 - საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება მოიცავს იჯარით გაცემულ მიწებს, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია რეალური საბაზრო ღირებულებით და მისი შეფასებით მიღებული შედეგები ასახულია პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

	31.12.2019	31.12.2020
1 იანვარი	6,853,174	6,853,174
კორექტირება	-	(31,062)
შემოსვლა	-	1,674,068
გასვლა	-	(993,440)
რეალური ღირებულების ცვლილებით გამოწვეული მოგება ან (ზარალი)	-	8,683,270
31 დეკემბერი	6,853,174	16,186,011

შენიშვნა 5 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

ანგარიშგებაში წარდგენილი სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს სარეალიზაციო და სხვა დამხმარე საქონელს (საწვავი)

	31.12.2019	31.12.2020
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10,543,684	14,790,596
საქონელი გზაში	41,756	41,756
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10,585,440	14,832,352

შენიშვნა 6 - გადახდილი ავანსები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს გადახდილი ავანსები მოიცავს მომწოდებლისათვის წინსწრებით გადახდილ თანხებს, რომლებზეც ჯერ არ მომხდარა საქონლის/ მომსახურების მიღება

	31.12.2019	31.12.2020
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1,056,519	4,326,348
სულ გადახდილი ავანსები	1,056,519	4,326,348

შენიშვნა 7 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

პერიოდის ბოლოს ანგარიშგებაში წარდგენილი მოთხოვნები მოიცავს მიწოდებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს

	31.12.2019	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები რეალიზაციიდან	8,403,531	5,045,167
მოთხოვნები იჯარიდან	32,383	77,611
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,435,914	5,122,779

შენიშვნა 8 - ფული და ფულადი ექვივალენტები

პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ეროვნულ და უცხოურ ვალუტას საბანკო ანგარიშებზე

	31.12.2019	31.12.2020
ფული სალაროს ანგარიშზე	4,549	7,970
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	64,660	74,914
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	8,195,974	1,765,702
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	8,265,183	1,848,585

შენიშვნა 9 - გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები და მისი მიმდინარე ნაწილი

პერიოდის ბოლოს არსებული გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები მოიცავს უცხოურ და ეროვნულ ვალუტაში აღრიცხულ საკრედიტო ხაზებს:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადანობა	31/12/2019		31/12/2020	
				დოლარი	ექვივალენტი ლარი	დოლარი	ექვივალენტი ლარი
სს "თიბისი ბანკი"	დოლარი	7.30%	20.10.2021	-	-	3,400,000	11,140,440
სს "თიბისი ბანკი"	დოლარი	8%	31.07.2020	871,166	2,498,244	-	-
სს "თიბისი ბანკი"	დოლარი	8%	31.07.2020	1,285,072	3,685,201	-	-
სს "თიბისი ბანკი"	დოლარი	8%	31.07.2020	270,242	774,972	-	-
სს "თიბისი ბანკი"	დოლარი	8%	31.10.2020	500,000	1,433,850	-	-
სს "თიბისი ბანკი"	დოლარი	8%	31.03.2020	2,000,000	5,735,400	-	-
სს "თიბისი ბანკი"	დოლარი	7.50%	30.06.2020	900,000	2,580,930	-	-
სულ სესხები დოლარში				5,826,480	16,708,596	3,400,000	11,140,440

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადანობა	31/12/2020	
				ევრო	ექვივალენტი ლარი
სს "თიბისი ბანკი"	ევრო	5.75%	26.07.2023	612,426	2,463,975
სს "თიბისი ბანკი"	ევრო	5.75%	26.07.2023	918,444	3,695,174
სს "თიბისი ბანკი"	ევრო	5.75%	26.07.2023	195,481	786,477
სულ სესხები ევროში				1,726,351	6,945,626
სულ სესხები ლარის ექვივალენტში				-	18,086,066

შენიშვნა 10 - სავაჭრო ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	31.12.2019	31.12.2020
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	13,320,918	3,025,991
მიღებული ავანსები	1,027,366	2,066,247
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14,348,284	5,092,238

შენიშვნა 11 -შემოსავალი რეალიზაციიდან

პერიოდის შემოსავლები მოიცავს სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს, რომელიც შემცირებულია პერიოდის ფასდათმობით.

	31.12.2019	31.12.2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	88,670,898	107,641,914
შემოსავალი იჯარიდან	665,822	685,337
სხვა შემოსავალი	245,813	118,926
გაყიდული საქონელის უკან დაბრუნება	(408,945)	(714,147)
სულ შემოსავლები რეალიზაციიდან	89,173,588	107,732,030

შენიშვნა 12 - თვითღირებულების ხარჯი

თვითღირებულების ხარჯები მოიცავს ჩამოწერილი მარაგების ღირებულებას

	31.12.2019	31.12.2020
გაყიდული/შემცენილი საქონელი	81,496,744	95,191,669
შემცენილი საქონ. უკან დაბრუნება და ფასდათმობა		(592,604)
სასაქონლო-მატერიალური. მარაგის კორექტირება		3,941
სულ თვითღირებულების ხარჯი	81,496,744	94,603,007

შენიშვნა 13 - ადმინისტრაციული ხარჯები

	31.12.2019	31.12.2020
იჯარის ხარჯი	66,661	110,909
სატრანსპორტო ხარჯი	272,298	328,557
საკომუნიკაციო ხარჯი	39,439	8,203
საოფისე ხარჯი	2,091	5,280
დაცვის მომსახურების ხარჯი	36,242	37,556
მივლინების ხარჯი	2,153	522
რემონტის ხარჯი	1,830	241
საბანკო ხარჯი	77,634	109,884
საკონსულტაციო ხარჯი	136,799	104,943
საპენსიო ხარჯი	22,828	28,398
ფიზიკური პირებისგან გაწეული მომსახურება	243,268	375,475
სხვა საგადასახადო ხარჯი	86,202	52,163
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	68,747	303,759
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	1,056,192	1,465,888

რისკის მართვა

ჯგუფის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. ორგანიზაციაში დაწერული კონტრაქტები უზრუნველყოფს წარმოქმნილ მოთხოვნებზე შესაბამისი ფულადი ნაკადების მიღებას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში, რის გამოც საკრედიტო რისკები მინიმალურია.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდურობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

	1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტე	31 დეკემბერი 2020 სულ
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,030,887	-	-	-	-	3,030,887
მიღებული ავანსები	2,066,247	-	-	-	-	2,066,247
ნასესხები სახსრები	1,919,130	-	11,926,917	4,240,019	-	18,086,066
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,016,264	-	11,926,917	4,240,019	-	23,183,200

ცხრილში მოცემულია ინფორმაცია პერიოდის ვალდებულებებზე, რომელიც არ აღემატება მიმდინარე აქტივების ღირებულებას, რაც ადასტურებს რომ ორგანიზაციაში ლიკვიდურობის რისკების ანალიზი და მართვა ხორციელდება ისე რომ არ არსებობს არსებითი რისკები.

კაპიტალის რისკი

ჯგუფი კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მასში შემავალმა ყველა წევრმა შეძლოს მოქმედი საწარმოს სტატუსის შენარჩუნება და, ამავედროულად, მოწილეთა უკუგება მაქსიმალურად გაიზარდოს სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზებით. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი.

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2020
აღებული სესხები	16,708,596	18,086,066
ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთები	(8,265,182)	(1,848,585)
წმინდა სესხი	8,443,414	16,237,481
კაპიტალი	7,107,116	20,986,005
წმინდა სესხის ფარდობა კაპიტალთან	119%	77%

შპს ევროსტილი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში ჯგუფი ფლობს უცხოურ ვალუტაში აღრიცხულ სასესხო ვალდებულებას. ასევე კომპანია მიღებული საქონლის შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. 2020 წელს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ კომპანიაში წარმოქმნა ფინანსური ზარალი საკუროსო სხვაობიდან ვინაიდან კომპანიის მარაგების არსებითი ნაწილი შეძენილია უცხოურ ვალუტაში და პერიოდის ბოლოს კომპანიის ვალდებულებების არსებითი ნაწილი მოიცავს უცხოურ ვალუტაში წარმოქმნილ ვალდებულებებს.

მენეჯმენტის პოზიციით სავალუტო სხვაობის დასაშვები ცვლილებები გათვალისწინებულია მოგების მარჟის გაანგარიშებაში, რაც ამცირებს სავალუტო სხვაობით წარმოქმნილი ზარალის გავლენის არსებითობას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის უცხოური ვალუტის გადამცვლის კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

31 დეკემბერი 2020			
	GEL	USD 1 = 3.2766 GEL	EUR 1 = 4.0233 GEL
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	82,885	1,765,612	88
სავაჭრო მოთხოვნები	5,128,169	-	-
გადახდილი ავანსები	29,500	2,645,544	
სულ ფინანსური აქტივები	5,240,554	4,411,156	88
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,605,445	1,425,936	-
მიღებული ავანსები	1,935,462	130,784	-
გადასახდელი პროცენტები		82,426	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება და მისი მიმდინარე ნაწილი		11,140,440	6,945,626
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,540,907	12,779,586	6,945,626
სულ წმინდა პოზიცია	1,699,647	(8,368,430)	(6,945,538)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 20%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

2020 წლის 31 დეკემბერს:

	USD ზეგავლენა		EUR ზეგავლენა	
	USD/GEL 20%	USD/GEL - 20%	EUR/GEL 20%	EUR/GEL -20%
მოგება/ზარალი				
გადასახდებამდე:	(1,673,686)	1,673,686	(1,389,108)	1,389,108

საპროცენტო რისკი

ჯგუფი საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულ განაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

	შესყიდული მომსახურების/საქონლის ღირებულება	გაყიდული მომსახურების/საქონლის ღირებულება
შპს მეტალ გრუპ	275,712	6,485,159
შპს ფრეგატ-ჯორჯია	8,515,990	3,260,223
შპს დანტე	198,952	4,669,584
შპს ევრომეტალი	3,111,906	1,600,893
შპს ვესტ მეტალი	3,111,906	1,600,893
შპს ნიუ მეტალი	8,151	8,151

საანგარიშო პერიოდში, კომპანიის წამყვან მენეჯმენტზე ხელფასად გაცემული ანაზღაურება შეადგენს 205,058 ლარს.

პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში ჯგუფის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები. ჯგუფის მიმდინარე სასამართლო დავები მოიცავს საქონლის რეალიზაციიდან მიუღებელ თანხებზე წარმოქმნილ დავებს, რომელთა ჯამური ღირებულება არა არსებითია და გავლენას არ ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციაზე.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში გავრცელდა ახალი კორონავირუსი Covid19, რომლის გამოც დაწესდა არა ერთი შეზღუდვა ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებით. შეზღუდვები 2020 წლის განმავლობაში ეტაპობრივად მსუბუქდებოდა ან მკაცრდებოდა, ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე. შეზღუდვების ნაწილი კვლავ მოქმედებს ბალანსის შემდგომ პერიოდში, ისევე როგორც პანდემია არ არის დასრულებული, რის გამოც შესაძლოა რომ გარკვეული რისკები მისი უარყოფითი გავლენის ფინანსურ ანგარიშგებაზე კვლავ აქტუალური იყოს.



ინფორმაცია ევროსტილი ფილიალების საქმიანობის შესახებ

შპს ევროსტილი (თავდაპირველი სახელი - შპს პირამიდა-2) დაარსდა 2016 წლის 16 ნოემბერს. კომპანია მოღვაწეობს ქართულ ბაზარზე - ვაჭრობს რკინის ნაწარმის სხვადასხვა სახეობით. ესენია: არმატურა, გლინულა, კუთხოვანა, პროფილური მილი, მრგვალი მილი, წერტილოვანი ბადე, ლითონის ფურცელი და სხვ. შპს ევროსტილის ტვირთბრუნვა შეადგენს წელიწადში დაახლოებით 60 000 ტონას. ორგანიზაციას გააჩნია საკუთრებაში მიწის ფართობი რომელიც შეიძინა 2017 წელს საინვესტიციო მიზნებისთვის. ფირმის დამატებითი შემოსავალი შეადგენს მიწის გაქირავებიდან მიღებულ თანხებსაც.

შპს ევროსტილის დასაქმებული ყავს 80-მდე თანამშრომელი. ფირმა ემსახურება როგორც საცალო, ასევე კორპორატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებს. ევროსტილი აერთიანებს რამდენიმე მეტალო ბაზას, რომელიც თბილისში და ბათუმშია განთავსებული. კომპანია ქართულ ბაზარზე ერთ-ერთი მსხვილი მოთამაშეა. იგი ახორციელებს სხვადასხვა სახეობის და ხარისხის რკინის ნაწარმის იმპორტს ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა უკრაინა, რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი და ირანი, ასევე ახორციელებს ადგილობრივ შეძენებს შემდგომი გაყიდვის მიზნით.

კომპანია არის ჯგუფის წევრი და ფლობს შვილობილს საწარმოებს, რომლის ოპერირებაც ჯგუფის ოპერაციებში არა არსებითია, ვინაიდან მნიშვნელოვანი წილი ეკუთვნის კომპანია ევროსტილის. მმართველობით ანგარიშგებაში განხილული საკითხები ძირითადად მოიცავს მშობელი საწარმოს „კომპანია ევროსტილის განვითარების გეგმებს, ვინაიდან ჯგუფის სხვა კომპანიების ოპერაციები მნიშვნელოვნად არ ცვლის ჯგუფის შედეგებს.

გაყიდვები

შპს ევროსტილი ბიზნესი პირობითად შეიძლება დაიყოს 2 სეგმენტად:
ვაჭრობა რკინის ნაწარმით
იჯარით გაცემული ქონება

კომპანია ვაჭრობს როგორც საცალო, ასევე საბითუმო სეგმენტზე და სახელმწიფო ორგანიზაციებთან - საერთო ჯამში ემსახურება წლიურად 8000 კლიენტს, უზრუნველყოფს პროდუქციის მიწოდება-ტრანსპორტირებას საქართველოს ყველა რეგიონში.



მეტალის პროდუქციის გაყიდვის გარდა ფირმა შემოსავალს იღებს იჯარით გაცემული მიწიდან. მეიჯარეები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც მსგავს საქმიანობას ახორციელებენ - ვაჭრობენ მეტალის პროდუქტით ან ეწევიან სახეინკლო და მსგავს მომსახურებებს. კომპანიას ყოველთვიურად ყავს საშუალოდ 65 მეიჯარე.

კომპანიის მენეჯმენტის აზრით იმპორტი სხვადასხვა ქვეყნიდან უზრუნველყოფს მარაგების სტაბილურ მოწოდებას და შეუფერხებელ ვაჭრობას. მნიშვნელოვანია, რომ შპს ევროსტილს გააჩნია პირდაპირი კავშირი მომწოდებლებთან, რაც განაპირობებს პროდუქციაზე კონკურენტულად დაბალი ფასის შენარჩუნებას.

შვილობილი და მეკავშირე კომპანიები

შპს ევროსტილი დამატებით ოპერირებს შემდეგი შვილობილი კომპანიების მეშვეობით:

შპს ასე სტილი, რომელიც დაარსდა 2018 წლის 16 ოქტომბერს - ახორციელებს რკინის ნაწარმის ექსპორტს და ადგილობრივ შეძენების შემდგომი რეალიზაციის მიზნით (ფლობს წილის 50%)

შპს ევრომეტი, რომელიც დაარსდა 2018 წლის 24 მაისს - ახორციელებს საკუთრებაში მყოფი მეტალობაზის გაქირავებას (ფლობს წილის 67%)

2020 წლის განვითარების გეგმები

შპს ევროსტილი ორიენტირებულია გაფართოებაზე და ბაზრის წილის ზრდაზე. ამჟამად კომპანია ფლობს ბაზრის წილის დაახლოებით 45 პროცენტს.

2020 წელს მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ თბილისში აშენდა დამატებით 1 მეტალო-ბაზა პროდუქციის შესანახად და რეალიზაციისთვის. კომპანიამ ასევე შეიძინა დამატებითი შვიდი სატრანსპორტო საშუალება პროდუქციის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით.

შპს ევროსტილი ძირითადი მიზნები მომდევნო 2 წლისთვის შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

ბაზრის წილის ზრდა;
დამატებითი მეტალო-ბაზების მშენებლობა;
საქმიანობის სფეროს გაფართოება

რაც შეეხება ჯგუფში შემავალ სხვა კომპანიებს ვინაიდან მათი საქმიანობის ძირითადი ნაწილი მოიცავს ქონების გაქირავებას, აღნიშნული მიმართულებით ჯგუფი დამატებითი ღონისძიებების გატარებას არ გეგმავს.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ჯგუფის მენეჯმენტის აზრით ფირმის განვითარებაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს როგორც ობიექტურმა, ასევე სუბიექტურმა რისკ-ფაქტორებმა.

ობიექტური ფაქტორებიდან მნიშვნელოვანია ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა, რაც ყველა ბიზნესისთვის გადაწყვეტი ფაქტორია. ასევე გეოპოლიტიკური მდგომარეობა და დიპლომატიური ურთიერთობები იმ მოკავშირე ქვეყნებთან, საიდანაც ხორციელდება პროდუქციის იმპორტი.

ბიზნესის მომგებიანობაზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ვალუტის კურსის მკვეთრმა ზრდამ. საწარმოო სარგებლობს საბანკო სესხით, რომელიც ნომინირებულია უცხოურ ვალუტაში (დოლარში). კურსის ცვლილება ბუნებრივია გაზრდის საპროცენტო ხარჯს, რაც უარყოფითად აისახება წმინდა მოგების ციფრზე.

ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფო რეგულაციები, რომელიც უწესდება რკინის ნაწარმს. ხშირი ბიუროკრატიული და საკანონმდებლო ცვლილებები მოქმედებს ბაზრის სტაბილურობაზე, იწვევს მოთხოვნა-მიწოდების რყევებს და ართულებს ბიზნესის განვითარების პროგნოზს.

რაც შეეხება სუბიექტურ ფაქტორებს, კომპანია ორიენტირებულია დანერგოს მენეჯმენტის სწორი მიდგომები, რომელიც შეესაბამება მის საქმიანობას. მიმდინარეობს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების სტანდარტის დასაწესებლად, რაც განაპირობებს თანამშრომელთა უსაფრთხო სამუშაო გარემოს.

კომპანია ცდილობს აღმოფხვრას ყველა ის ხარვეზი, რაც გამოიწვევს საწარმოო ციკლის შეფერხებას ან არასწორ აღრიცხვას, მუშაობს კონტროლის მექანიზმების სრულყოფაზე პროდუქციის შეძენიდან მის საბოლოო მომხმარებელამდე მიწოდებისთვის. შპს ევროსტილს უწევს საკმაოდ რესურსის დახარჯვა პრობლემურ კლიენტებთან დაკავშირებით. კომპანია ცდილობს წინასწარ მიიღოს დაზღვევის სხვადასხვა ზომები (უზრუნველყოფა, თავდაცობა, გირაო), რათა თავიდან აიცილოს პრობლემური დებიტორული დავალიანებების ზრდა.




ასევე რისკად შესაძლოა ჩაითვალოს კოვიდ პანდემიის გამო გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობა, რომლის გამოც ვეღარ მოხდება იჯარით გაქირავებული ქონებიდან შესაბამისი ფულადი ნაკადების გენერირება, რაც შეამცირებს შემოსავლებს და გაზრდის დებიტორულ დავალიანებას.

აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არა ფინანსური მაჩვენებლები

ევროსტილის ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) მიხედვით.

ფინანსური მაჩვენებლები

შპს „ევროსტილი“ 2018-2019-2020 წელს მიღებული შემოსავლების პროცენტული გადანაწილების და სხვა ფინანსური მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია ასახულია დიაგრამებში:



იჯარიდან მიღებული შემოსავლების კლება განპირობებული არა მოთხოვნის შემცირებით, არამედ საკუთარი მიწის ნაკვეთზე ახალი ბაზების მშენებლობით, რამაც ბუნებრივია შეამცირა გასაქირავებელი მიწის ფართობი და შესაბამისად მისგან მიღებული შემოსავლებიც.

. შემოსავალი გაყიდვებიდან სტაბილურად იზრდება. აღსანიშნავია, რომ ზრდის მაჩვენებელში მონაწილეობის კურსის ცვლილების ეფექტიც.

Covid19-ის პანდემიის გავრცელების გავლენა კომპანიის განხორციელებულ ოპერაციებზე, როგორც საანგარიშო, ასევე ბალანსის შემდგომ პერიოდში

პანდემიამ ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც დიდი ძვრები გამოწვია ეკონომიკური თვალსაზრისით. 2020 წლის შემოდგომაზე წარმოიშვა მოულოდნელი დეფიციტი რკინის პროდუქციის მსოფლიო ბაზარზე. ქარხნების შეფერხებული მუშაობის გამო მომწოდებლების მუდმივი მარაგები ამოიწურა. საბედნიეროდ ჩვენი კომპანიის პოლიტიკის წყალობით (რომელიც გულისხმობს დიდი და მრავალფეროვანი მარაგის შენახვას), ფირმა შეუფერხებლად ვაჭრობდა მთელი წლის განმავლობაში. რადგან მშენებლობის პროცესი არ გაჩერდა ქვეყანაში, მოთხოვნა საქონელზე მოლოდინს შეესაბამებოდა. მესამე კვარტალში საქონლის დეფიციტთან ერთად დაფიქსირდა არმატურაზე ფასების მკვეთრი ზრდა (40 % და მეტი). მიუხედავად გაძვირებული საქონლისა, შენარჩუნდა ვაჭრობის მოსალოდნელი ტემპი, რაც უმთავრესად განაპირობა გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების დასრულების აუცილებლობამ და ამ საკითხში სახელმწიფოს ხელშეწყობამ.

2020 წლის მეორე კვარტალიდან დოლარის კურსის მკვეთრმა ზრდამ გამოიწვია კომპანიის დოლარში ნომინირებული მუდმივი დანახარჯების არაპროგნოზირებადი მატება. მიუხედავად ამისა, ფირმის რეზერვების წყალობით ევროსტილმა მოახერხა გადახდისუნარიანი ყოფილიყო თავისი საბანკო ვალდებულებების და სხვა მომწოდებლების მიმართ. ჩვენმა კომპანიამ ყველა ღონე იხმარა, რომ თავიდან აერიდებინა თანამშრომელთა შემცირება და სრულად აუნაზღაურა დასაქმებულებს კუთვნილი ხელფასი, მიუხედავად მათი შრომისუნარიანობისა.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას რომ პანდემიის გამოწვევებს ჯგუფი წარმატებით გაუმკლავდა.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

რეპუტაცია და ბრენდის სიძლიერე

2020 წლიდან შპს ევროსტილმა მიიღო გადაწყვეტილება უფრო ცნობადი გამხდარიყო ქვეყნის მასშტაბით. დაიწყო აქტიური სარეკლამო კამპანია. ბრენდის სიძლიერეზე მეტყველებს მისი უწყვეტი ზრდა-განვითარება რაც გამოიხატება არამხოლოდ ფინანსურ მაჩვენებლებში, არამედ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაშიც. ევროსტილი არის კომპანია, სადაც შესაძლებელია ნებისმიერი სახეობის და რაოდენობის, მაღალი ხარისხის რკინის პროდუქციის შეძენა.

მომხმარებლები

ჯგუფი გამოირჩევა მომხმარებლების დიდი რაოდენობით და მრავალფეროვნებით. ჩვენთვის ყველა კლიენტი მნიშვნელოვანია. შპს ევროსტილი ამარაგებს, როგორც კერძო მშენებლობებს, ასევე სხვადასხვა სტრატეგიული მნიშვნელობის სახელმწიფო პროექტებს. ფირმა მუშაობს კვირაში შვიდი დღე, მაქსიმალურად ოპერატიულად აწვდის ნებისმიერი რაოდენობის შეკვეთას და ცდილობს მოერგოს მომხმარებელთა მოთხოვნებს.

დასაქმებულები

ჯგუფში ამჟამად დასაქმებულია 69 ადამიანი. კომპანიის ლოიალური პოლიტიკის წყალობით ყველა კატეგორიის მუშახელს, საშუალება ეძლევა წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები და განვითარდეს სურვილისამებრ. ორგანიზაციაში არსებობს მოქნილი სამუშაო გრაფიკი დასაქმებული ქალებისთვის და მცირეწლოვანი ბავშვების მშობლებისთვის. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს დასაქმებულთა ფონდი და გაზარდოს მომავალში.

სუბიექტის პოზიცია ბაზარზე

შპს ევროსტილი ქართული ბაზრის ერთ-ერთი მსხვილი მონაწილეა თავის დარგში. კომპანია ფლობს დაახლოებით ბაზრის 45%-ს. იმპორტს ახორციელებს რამოდენიმე ქვეყნიდან (უკრაინა, რუსეთი, ირანი, აზერბაიჯანი, თურქეთი). საქონელს იძენს ასევე ადგილობრივი მომწოდებლებისგან. კომპანია ცდილობს გაიმყაროს პოზიციები და განსაზღვროს მუდმივი განვითარების სწორი პერსპექტივა, მათ შორის პანდემიის პირობების გათვალისწინებით.

კვლევა და განვითარება

ქართული რკინის ბაზარი უაღრესად კონკურენტულია და კომპანია იბრძვის განვითარებისთვის კონკურენტული ფასების პირობებში. ამისთვის იგი მუდმივად აფართოებს პროდუქციის ასორტიმენტს და ცდილობს დახვეწოს ლოგისტიკური პრობლემები. ატარებს ბაზრის კვლევებს მოთხოვნის ცვლილებების შესწავლის მიზნით, პროდუქციის შემოტანის ალტერნატიული გზების აღმოსაჩენად (რათა თავიდან აიცილოს შესაძლო განუსაზღვრელობები პანდემიის არსებობის პირობებში).

შპს ევროსტილი
დირექტორი
02.08.2021

სუბიექტის პოზიცია ბაზარზე

შპს ევროსტილი ქართული ბაზრის ერთ-ერთი მსხვილი მონაწილეა თავის დარგში. კომპანია ფლობს დაახლოებით ბაზრის 45%-ს. იმპორტს ახორციელებს რამოდენიმე ქვეყნიდან (უკრაინა, რუსეთი, ირანი, აზერბაიჯანი, თურქეთი). საქონელს იძენს ასევე ადგილობრივი მომწოდებლებისგან. კომპანია ცდილობს გაიმყაროს პოზიციები და განსაზღვროს მუდმივი განვითარების სწორი პერსპექტივა, მათ შორის პანდემიის პირობების გათვალისწინებით.

კვლევა და განვითარება

ქართული რკინის ბაზარი უაღრესად კონკურენტულია და კომპანია იბრძვის განვითარებისთვის კონკურენტული ფასების პირობებში. ამისთვის იგი მუდმივად აფართოებს პროდუქციის ასორტიმენტს და ცდილობს დახვეწოს ლოგისტიკური პრობლემები. ატარებს ბაზრის კვლევებს მოთხოვნის ცვლილებების შესწავლის მიზნით, პროდუქციის შემოტანის ალტერნატიული გზების აღმოსაჩენად (რათა თავიდან აიცილოს შესაძლო განუსაზღვრელობები პანდემიის არსებობის პირობებში).

შპს ევროსტილი
დირექტორი
02.08.2021

